,,თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონი

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის სამართლებრივი აქტები – ამ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული აქტები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტი;

ბ) თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის სამართლებრივი აქტები – ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული აქტები, რომლებსაც გამოსცემს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

მუხლი 9. თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონე

1. ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების, ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების დაცვის, მდგრადი განვითარების, ქვეყნის, საზოგადოებისა და პიროვნების უსაფრთხოებისა და უფლებების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავდება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხო განვითარების ხედვას წარმოადგენს. მასში ნათლად არის მითითებული პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში არსებული მოთხოვნილებები, მიზნები და მათი მიღწევის გზები. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას“ დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

2. „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, მრავალწლიანი პერიოდისათვის მიმოიხილავს არსებულ სტრატეგიულ გარემოს და კონკრეტულად ადგენს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს. „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის“ საფუძველზე ხორციელდება შეიარაღებულ ძალებში ოპერატიული გეგმების შემუშავება და ამ დოკუმენტთან დაკავშირებული დაგეგმვის სხვა სფეროების (მატერიალურ-ტექნიკური, ინფორმაციული და უწყებათაშორისი კოორდინაციის) ორგანიზება. „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს“ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო შეიმუშავებს სხვა უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად ხორციელდება მისი ანალიზი. „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს“ ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. (17.12.2010. N4130)

3. თავდაცვის სფეროში „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით“ გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული შეიმუშავებს „საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას“, რომელიც მრავალწლიანი პერიოდისათვის

განსაზღვრავს ეროვნულ სამხედრო მიზნებსა და შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებებს, მათი განხორციელების ზოგად გზებს, სტრუქტურასა და სამომავლო ხედვას. ამასთანავე, ის ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია შეიარაღებული ძალებისათვის მათ წინაშე დასმული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად. ყოველწლიურად ხდება აღნიშნული დოკუმენტის შედარება არსებულ ან/და მოსალოდნელ მდგომარეობასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასში შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. „საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას“ ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.